ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N89

2025 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის და დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევის სამ მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის I,II და III ჩიხების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

X=486626 Y=4615867
II Robo
X=486597 Y=4615827
X=486611 Y=4615813
III Robo
X=486659 Y=4615790
I Robo
X=486668 Y=4615742